ავიცენა
ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტი

„დამტკიცებულია“

შპს „ავიცენა - ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტის“ პარტნიორთა საერთო კრების 2022 წლის 30 აგვისტოს სხდომის № 01-03/04 ოქმის დანართი №5

(კოდიფიცირებული:
ცვლილება აკადემიური საბჭოს დადგენილებით №01-07/02, 25.05.2023წ)

ავიცენა - ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების წესი

სარჩევი

მუხლი 1. **ზოგადი დებულებები**..... 1

მუხლი 2. **საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება**..... 1

მუხლი 3. **საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა, შინაარსი და მოთხოვნები** 4

მუხლი 4. **პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციები და პასუხისმგებლობა**..... 7

მუხლი 5. **საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება**..... 8

მუხლი 6. **საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების შეტანისა და გაუქმების პროცედურა** 9

მუხლი 7. **დასკვნითი დებულებები** (დამატება *აკადემიური საბჭოს დადგენილებით №01-07/02, 25.05.2023წ.)*..... 10

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების - შპს - „ავიცენა - ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტის“ (შემდეგში - „ავიცენა” ან „უნივერსიტეტი”) პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების წესი (შემდეგში - წესი) განსაზღვრავს მედიცინის მიმართულებით ავიცენას საგანმანათლებლო პროგრამების (მათ შორის ,,მედიცინის” ერთსაფეხურიანი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის) დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების პროცედურას. აღნიშნული პროცედურის განსაზღვრისას უნივერსიტეტი ხელმძღვანელობს ,,უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონით და კანონქვემდებარე აქტებით, უნივერსიტეტის წესდებით, ავიცენას მედიცინის სკოლის დებულებითა და უნივერსიტეტის სხვა შიდა სამართლებრივი აქტებით.

1.2. საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და გაუმჯობესების პროცესი არის ღია და გამჭვირვალე და მასში მონაწილეობას ღებულობს უნივერსიტეტის პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები და სხვა დაინტერესებული მხარეები.

1.3. პროგრამის შემუშავების, განხორციელების და განვითარების პროცესს კოორდინაციას უწევს პროგრამის ხელმძღვანელი, რომელიც არის უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობის პირი (პროფესორი/ასოცირებული პროფესორი).

1.4. უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული და განხორციელებადი საგანმანათლებლო პროგრამები შესაბამისობაში უნდა მოდიოდეს უნივერსიტეტის მისიასთან და მიზნებთან, ითვალისწინებდეს დაინტერესებული მხარეების (სახელმწიფოს, აბიტურიენტის, შრომის ბაზრისა და მოსალოდნელი დამსაქმებლის) მოლოდინებს, საგანმანათლებლო სისტემის თანამედროვე მოთხოვნებსა და სამეცნიერო მიღწევების აქტუალურ კონტექსტს, უზრუნველყოფილი იყოს მისი განხორციელებისთვის საჭირო რესურსებით (ადამიანური, მატერიალური, ფინანსური, საინფორმაციო) და შეესაბამებოდეს უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების ამოცანებს.

მუხლი 2. საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1. უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცედურები ითვალისწინებს პროგრამის იდეის ინიცირების ეტაპიდან პროგრამის აკრედიტაციის მიღების ეტაპამდე უზრუნველყოფილი იქნეს ახალი პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტების მოთხოვნებთან შესაბამისობა და პროგრამის ამოქმედებასთან დაკავშირებული რისკების შემცირება. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარდგინებით უნივერსიტეტის რექტორი ბრძანებით ამტკიცებს ახალი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისათვის პროგრამის კონცეფციის და პროექტის შეფასების შემდეგი სახის ფორმებს:

ა) **ფორმა N1** - ახალი საგანმანათლებლო პროგრამის კონცეფციის შეფასების ფორმა;

ბ) **ფორმა N2** - ახალი საგანმანათლებლო პროგრამის პროექტის შეფასების ფორმა.

2.2. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების ინიცირება ხდება უნივერსიტეტის დამფუძნებელთა/პარტნიორთა ან უნივერსიტეტის პერსონალის მიერ. პროგრამის

ინიციატორი უნივერსიტეტის ძირითად საგანმანათლებლო ერთეულის (სკოლის) საბჭოს წარუდგენს ინფორმაციას შესაბამისი სფეროს საჭიროებების, შრომის ბაზრისა და დაინტერესებულ მხარეთა მოლოდინების შესახებ, ასევე პროგრამის ზოგად კონცეფციას. სკოლის საბჭოს მიერ პროგრამის ინიცირებისა და კონცეფციის მოწონების შემთხვევაში, წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აფასებს კონცეფციის შესაბამისობას უნივერსიტეტის მიზნებთან და განვითარების ამოცანებთან და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან. ასევე, შეისწავლის პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განხორციელებისათვის არსებულ და საჭირო რესურსებს და ინიციატორი გუნდის შესაძლებლობებს შეიმუშაონ და განახორციელონ აღნიშნული პროგრამა, რის შემდეგაც დასაბუთებულ დასკვნას წარუდგენს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს, პროგრამის ინიცირების თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად.

2.3. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი პროგრამის კონცეფციასთან დაკავშირებით მის მიერ მომზადებულ დასკვნაში უფლებამოსილია წარმოადგინოს შემდეგი სახის დასაბუთებული **რეკომენდაციები**:

ა) საგანმანათლებლო პროგრამის კონცეფციის დადებითად შეფასებისა და მისი შემუშავების თაობაზე;

ბ) საგანმანათლებლო პროგრამის კონცეფციის უარყოფითად შეფასების და მისი შემუშავებისგან თავის შეკავების თაობაზე;

გ) საგანმანათლებლო პროგრამის კონცეფციის შეფასებისთვის დამატებითი ინფორმაციისა და მტკიცებულებების წარმოდგენის საჭიროებების თაობაზე (პროგრამის აქტუალობის, კონკურენტუნარიანობის, დაინტერესებული მხარეების ჩართულობის დასადასტურებლად, რაც აუცილებელია პროგრამის შემუშავების თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად).

2.4. აკადემიური საბჭო უფლებამოსილია გაიზიაროს ან არ გაიზიაროს ხარიხის უზრუნველყოფის სამსახურის რეკომენდაცია და პროგრამის კონცეფციასთან მიმართებით მიიღოს ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ერთერთი გადაწყვეტილება.

2.5. პროგრამის ზოგად კონცეფციაზე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დადებითი რეკომენდაციის აკადემიური საბჭოს მიერ გაზიარების შემთხვევაში (დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში) უნივერსიტეტის რექტორი პროგრამის კონცეფციას, პროგრამის სამუშაო ჯგუფის სავარაუდო წევრთა შემადგენლობას (მათ შორის პროგრამის ხელმძღვანელის) წარუდგენს პარტნიორთა საერთო კრებას. *(ცვლილება აკადემიური საბჭოს დადგენილებით №01-07/02, 25.05.2023წ.)*

2.6. პარტნიორთა საერთო კრების მიერ ამ მუხლის 2.5. ქვეპუნქტის შესაბამისად განხილულ საკითხზე დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, რექტორი ბრძანებით ამტკიცებს პროგრამის სამუშაო ჯგუფის შემადგენლობას, ნიშნავს პროგრამის ხელმძღვანელს, რომელთანაც აფორმებს შრომით ხელშეკრულებას, კანონმდებლობით დადგენილი წესით. *(ცვლილება აკადემიური საბჭოს დადგენილებით №01-07/02, 25.05.2023წ.)*

2.7. პროგრამის სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში შეიძლება შედიოდნენ:

ა) პროგრამის ხელმძღვანელი;

ბ) სამუშაო ჯგუფის წევრები;

გ) პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის წარმომადგენლები;

დ) უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლები;

ე) პარტნიორ დამსაქმებელთა წარმომადგენლები;

ვ) სტუდენტები (მოქმედი პროგრამის შემთხვევაში);

ზ) კურსდამთავრებულები (არსებობის შემთხვევაში).

2.8. საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, განვითარებისა და გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს უნივერსიტეტის მისია, ხედვა და სტრატეგიული განვითარების გეგმა, ასევე დარგის სპეციფიკა და შრომის ბაზრის მოთხოვნები, საუკეთესო ადგილობრივი და საერთაშორისო პრაქტიკა, სათანადო ბიუჯეტი და ფინანსური უზრუნველყოფა, ადამიანური და მატერიალური რესურსი, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, პროფესორ-მასწავლებლების, დამსაქმებლების უკუკავშირი, უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული კვლევითი პრიორიტეტები, ადგილობრივ და უცხოურ სამედიცინო საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და კვლევით ცენტრებთან თანამშრომლობა და სხვა ფაქტორები.

2.9. პროგრამის ხელმძღვანელი პროგრამის სამუშაო ჯგუფთან ერთად, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შეთანხმებით შეიმუშავებს სამუშაო გეგმას, რომელშიც დეტალურად უნდა გაიწეროს პროგრამის მომზადების ვადები, ცალკეული აქტივობები, შემსრულებელი და პასუხისმგებელი პირები.

2.10. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი სამუშაო გეგმას წარუდგენს რექტორს. უნივერსიტეტის რექტორი თვითშეფასების/სამუშაო ჯგუფის სამუშაო გეგმას ამტკიცებს ბრძანებით.

2.11. პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები სამუშაო ჯგუფთან ერთად ამზადებს საგანმანათლებლო პროგრამის პროექტს, საგანმანათლებლო პროგრამისთვის შედგენილ თვითშეფასების ანგარიშს და მასზე დასართავ დოკუმენტაციას.

2.12. საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასება გულისხმობს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკრედიტაციის სტანდარტებთან პროგრამის შესაბამისობის დადგენის მიზნით პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების, სასწავლო კურსების შინაარსის, სწავლება-სწავლისა და შეფასების მეთოდების, პროგრამის სტუდენტებთან მუშაობის სერვისებისა და ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურების აღწერას თვითშეფასების/სამუშაო ჯგუფის მეშვეობით.

2.13. თვითშეფასების პროცესი წარიმართება საგანმანათლებლო დაწესებულებების უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებით დადგენილი პროცედურისა და თვითშეფასების ფორმის გამოყენებით. თვითშეფასების პროცესის ორგანიზებასა და მონიტორინგს ახორციელებს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი.

2.14. შემუშავებული პროგრამის პროექტი თანდართული დოკუმენტაციით, შესაფასებლად წარედგინება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს. წარმოდგენილი ინფორმაციის

საფუძველზე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აფასებს პროგრამის პროექტის შესაბამისობას აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნებთან და ამზადებს დასკვნას.

2.15. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა თავის დასკვნაში უფლებამოსილია წარმოადგინოს შემდეგი სახის დასაბუთებული რეკომენდაციები:

ა) საგანმანათლებლო პროგრამის პროექტის დადებითად შეფასების თაობაზე;

ბ) საგანმანათლებლო პროგრამის პროექტის უარყოფითად შეფასების და მისი მოდიფიცირების საჭიროების თაობაზე;

გ) საგანმანათლებლო პროგრამის პროექტის შეფასებისთვის დამატებითი ინფორმაციისა და მტკიცებულებების წარმოდგენის საჭიროებების თაობაზე.

2.16. ხარიხის უზრუნველყოფის სამსახურის დასკვნით პროგრამის პროექტის დადებითად შეფასების შემთხვევაში პროგრამის პროექტი განსახილველად წარედგინება სკოლის საბჭოს.

2.17. სკოლის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის პროექტის მოწონების/დადებითი გადაწყვეტილების საფუძველზე პროგრამა წარედგინება დასამტკიცებლად აკადემიურ საბჭოს.

2.18. აკადემიური საბჭოს მიერ უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შემდეგ შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი, სკოლის დეკანი და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი ორგანიზებას უწევს დამტკიცებული პროგრამის აკრედიტაციის მიღების მიზნით სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარდგენას.

2.19. უნივერსიტეტი უფლებამოსილია დაიწყოს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება, თუკი ეს პროგრამა აკრედიტებულია.

მუხლი 3. საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა, შინაარსი და მოთხოვნები

3.1. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა უნდა იყოს თანმიმდევრული და ლოგიკური. პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა უნდა უზრუნველყოფდეს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაში უნდა იყოს პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. პროგრამა აგებული უნდა იქნეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად. პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი უნდა მოიცავდეს საქართველოს კანონმდებლობით (ავტორიზაციის/აკრედიტაციის დებულებით/მედიცინის დარგობრივი მახასიათებლით-მედიცინის საგანმანთლებლო პროგრამის შემთხვევაში) გათვალისწინებულ ინფორმაციას/მონაცემებს, მათ შორის:

ა) **პროგრამის სახელწოდება** (ქართულად და ინგლისურად);

ბ) **მისანიჭებელი კვალიფიკაცია** (ქართულად და ინგლისურად);

გ) **პროგრამის მოცულობა კრედიტებით და მათი განაწილება**;

დ) **პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები** - პროგრამას შეიძლება ჰყავდეს ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები, უნივერსიტეტის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი;

ე) **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა** - პროგრამაზე მიღების წინაპირობები უნდა იყოს გამჭვირვალე და უზრუნველყოფდეს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას, რაც ემსახურება სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას. უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით, შესაძლებელია განისაზღვროს ამა თუ იმ პროგრამაზე სტუდენტთა მიღების დამატებითი წინაპირობები (მაგალითად: წერითი/ზეპირი/კომბინირებული გამოცდა სპეციალობაში (საგამოცდო საკითხები შესაბამის ლიტერატურასთან ერთად უნდა იქნეს წარმოდგენილი)/უცხო ენის ცოდნა გარკვეულ დონეზე და სხვ.). უცხოენოვანი პროგრამის შემთხვევაში პროგრამაზე დაშვების წინაპირობად უნდა განისაზღვროს შესაბამისი უცხოური ენის არანაკლებ B2 დონეზე ცოდნის ვალდებულება. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უნდა იყოს შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი;

ვ) პროგრამას უნდა ჰქონდეს ნათლად ჩამოყალიბებული **მიზნები**, რომლებშიც ასახული იქნება, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს მოამზადებს პროგრამა. ასევე, პროგრამაში უნდა იყოს აღწერილი სწავლების მეთოდოლოგია და შეფასების მეთოდები, რომელიც გამოყენებული იქნება პროგრამის განხორციელების პროცესში სწავლის შედეგების მისაღწევად. პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა უნდა უზრუნველყოფდეს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას;

ზ) **სწავლა-სწავლების მეთოდები** - პროგრამაში უნდა მიეთითოს სწავლებისა და სწავლის მეთოდები, რომლებიც შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. სწავლა-სწავლების მეთოდოლოგია ხელს უნდა უწყობდეს სწავლებისა და კვლევის ინტეგრაციას. სწავლა-სწავლების მეთოდები უნდა იყოს მოქნილი და ითვალისწინებდეს სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს;

თ) **შეფასების სისტემა** - დაუშვებელია სტუდენტის სემესტრული მიღწევის შეფასება მხოლოდ სემესტრის ბოლოს ჩატარებული გამოცდის მიხედვით. სტუდენტის სემესტრის განმავლობაში გაწეული შრომის შეფასება უნდა ითვალისწინებდეს: ა) მიმდინარე (დამოუკიდებელი) მუშაობის შეფასებას; ბ) შუალედურ შეფასებას; გ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას. შეფასებათა სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას: ა) (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა; ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა. არსებობს ორი სახის უარყოფითი შეფასება: ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით ხელახლა გამოცდაზე გასვლის უფლება; ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს მნიშვნელოვანი სამუშაო აქვს ჩასატარებელი, შესაბამისად, სასწავლო კურსი ახლიდან აქვს გასავლელი/შესასწავლი (სემესტრის საბოლოო გამოცდაზე ჩაჭრილი სტუდენტი, მიუხედავად მისი მიღწევებისა შეფასების სხვა კომპონენტებში, ითვლება ჩაჭრილად).

ი) **დასაქმების სფეროები** - პროგრამაში უნდა აღინიშნოს, თუ სად შეიძლება დასაქმდეს კურსდამთავრებული;

კ) სწავლის **წლიური საფასური** (საქართველოს მოქალაქე და უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტებისათვის) - განისაზღვრება უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით (აკადემიური საბჭოს ფორმირებამდე კი - პარტნიორთა საერთო კრების მიერ);

ლ) საგანმანათლებლო პროგრამის **სასწავლო გეგმა** (წინამდებარე წესის **დანართი №1**) - უნდა მოიცავდეს ყველა კომპონენტს, რომელშიც ხდება კრედიტების მინიჭება. სასწავლო გეგმაში მითითებული იქნება კომპონენტის სახელწოდება, მოცულობა კრედიტებით, კოდი, დაშვების წინაპირობა, საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების განაწილება;

მ) **საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა** (წინამდებარე წესის **დანართი №2,** დაერთვის სასწავლო გეგმას) - რომელშიც ასახული იქნება, რომ პროგრამის თითოეული მიზანი დაკავშირებულია პროგრამის სწავლის შედეგ(ებ)თან;

ნ) **საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის** (კურიკულუმის) რუკა (წინამდებარე წესის **დანართი №3**), რომელიც ასახავს, თუ რომელი სასწავლო კურსებით, აქტივობებითა თუ კვლევითი კომპონენტებით ვითარდება სტუდენტებში პროგრამის სწავლის შედეგები;

ო) **საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა** (წინამდებარე წესის **დანართი №4**), რომელშიც უნდა აისახოს, თუ როგორ შეფასდება პროგრამის სწავლის შედეგები პროგრამის დასასრულს;

3.2. გლობალური ან ქვეყნის მასშტაბით საგანგებო სიტუაციების (მაგალითად, პანდემიის) დროს სამედიცინო განათლების ხარისხის და პროგრამის მდგრადობის შენარჩუნების მიზნით, რეკომენდებულია მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისას გათვალისწინებული იქნეს **რექტორის ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისი გეგმა/კონცეფცია** დისტანციური/ნახევრად დისტანციური სწავლების განსახორციელებლად კურიკულუმის შესაბამისი მოდიფიკაციით (აღნიშნული გეგმით არ უნდა იცვლებოდეს - საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია).

3.3. საგანმანათლებლო პროგრამას უნდა დაერთოს: სასწავლო კურსების სილაბუსები (რეკომენდებული ფორმა - წინამდებარე წესის **დანართი №5**), რომელიც უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) სასწავლო კურსის/მოდულის სახელწოდება;

ბ) სასწავლო კურსის კოდი;

გ) სასწავლო კურსის/მოდულის სტატუსი;

დ) ავტორ(ებ)ი (სახელი, გვარი, სამეცნიერო/აკადემიური ხარისხი, სტატუსი, ფაკულტეტის/სკოლის და დარგობრივი დეპარტამენტის დასახელება, ტელეფონი, კორპორატიული ელექტრონული ფოსტის მისამართი);

ე) სასწავლო კურსის განმახორციელებელი პირ(ებ)ი (სახელი, გვარი, სამეცნიერო/აკადემიური ხარისხი, სტატუსი, ტელეფონი, ელექტრონული ფოსტის მისამართი);

ვ) სასწავლო კურსის/მოდულის მიზანი;

ზ) კრედიტების რაოდენობა და საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების განაწილება;

თ) სასწავლო კურსის სტრუქტურა;

ი) დაშვების წინაპირობები;

კ) სასწავლო კურსის შინაარსი;

ლ) სწავლება-სწავლის მეთოდები;

მ) შეფასების კრიტერიუმები;

ნ) სწავლის შედეგები;

ო) ძირითადი ლიტერატურა;

პ) დამხმარე ლიტერატურა.

3.4. საგანმანათლებლო პროგრამას თან უნდა ერთვოდეს ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსის შესახებ და ინფორმაცია (CV) საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ის შესახებ.

მუხლი 4. პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციები და პასუხისმგებლობა

4.1. პროგრამის დაგეგმვას, შემუშავებასა და განხორციელებას კოორდინირება უნდა გაუწიოს პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)მა, რომელსაც უნდა გააჩნდეს პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება. მისი კვალიფიკაცია უნდა დასტურდებოდეს სფეროს შესაბამისი განათლებით, პრაქტიკული გამოცდილებით და სამეცნიერო ნაშრომებით.

4.2. პროგრამის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს უნივერსიტეტის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი აკადემიური პროცესის შესაბამისად წარმართვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი რგოლია, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის განვითარებას, უნივერსიტეტის მისიის, ხედვისა და სტრატეგიის გათვალისწინებით.

4.3. საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ის ფუნქცია და პასუხისმგებლობაა:

ა) საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის უზრუნველყოფა და პროგრამის სააკრედიტაციოდ მომზადება, პროგრამის დაგეგმვა / შემუშავების / დამტკიცების / ცვლილებების შეტანის/ აკრედიტაციისათვის წარდგენისათვის მოსამზადებელი სამუშაოებების ინიცირება, ასევე საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების/მიმდინარეობის შესახებ ყოველწლიური ანგარიშის მომზადება;

ბ) პროგრამის განვითარების მიზნით, პოტენციური სტუდენტების მოზიდვის აქტივობებში მონაწილეობა, კურსდამთავრებულთა მხარდაჭერისა და კარიერული განვითარების სამსახურთან ინტეგრაციის ხელშეწყობა;

გ) პროგრამის განვითარების უზრუნველსაყოფად ინფორმაციის მიწოდება/მოთხოვნა/გაცვლა/გაზიარება სკოლასთან, ადმინისტრაციასთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებელებთან, საგანმანათლებლო პროგრამის

განმახორციელებელ პერსონალთან და ადგილობრივ თუ საერთაშორისო პარტნიორებთან პროგრამის ფარგლებში;

დ) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან თანამშრომლობა, პროგრამის პერიოდული შეფასების პროცესში აქტიური ჩართულობა, გამოკითხვებისა და შეფასების შედეგად მიღებული ინფორმაციის დამუშავება-გაანალიზება, პროგრამის განვითარების უზრუნველსაყოფად მოდიფიცირების/ცვლილებების განხორციელების გეგმის შემუშავება სკოლისა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან თანამშრომლობით.

ე) საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისა და განვითარების პროცესში აკადემიური პერსონალის, მოწვეული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლებისა და სხვა დაინტერესებული პირების/მხარეების ჩართულობა;

ვ) სკოლის დეკანთან შეთანხმებით პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტების განსახორციელებლად შერჩეული პერსონალის/კანდიდატურებისა და მათი აკადემიური ან/და საათობრივი დატვირთვების განსაზღვრა, პროგრამის განხორციელების პროცესში საჭიროების შესაბამისად;

ზ) საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტების შესაბამისად პროგრამის ხელმძღვანელის კომპეტენციის ფარგლებში სხვა ფუნქციების შესრულება.

4.4. საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძვლებია:

ა) პირადი განცხადება;

ბ) დაკისრებული ფუნქციების არაჯეროვნად შესრულება;

გ) სკოლის საბჭოს/აკადემიური საბჭოს დადგენილებით განსაზღვრული ან/და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

მუხლი 5. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება

5.1. საგანმანათლებლო პროგრამის ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენისათვის, ხარისხის უზრუნველყოფისათვის და მუდმივი განვითარებისათვის რეგულარულად უნდა განხორციელდეს საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება (შემდგომში - პროგრამის შეფასება).

5.2. პროგრამის შეფასება არის მუდმივი პროცესი და ადგენს პროგრამის მიზნების მიღწევის დონეს. პროგრამის შეფასებისათვის გამოიყენება სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები, რომლის მიზანია პროგრამის შედეგების გაუმჯობესების გზით პროგრამის მდგრადი განვითარების უზრუნველყოფა. პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

5.3. პროგრამის შესაფასებლად გამოიყენება როგორც სწავლის შედეგების შეფასების პირდაპირი (სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი, სწავლის შედეგების შეფასება: ქვიზი, რეფერატი, ინდივიდუალური ან ჯგუფური აქტივობა, პრეზენტაცია, შუალედური გამოცდა, პრაქტიკული უნარების შეფასება, კურაცია, სტუდენტების გამოკითხვა), ისე

არაპირდაპირი მეთოდები (დაინტერესებული მხარეების გამოკითხვა, დამსაქმებლების კითხვარი, კურსდამთავრებულების კითხვარი, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის კითხვარი და სხვ.). წინამდებარე პუნქტში აღნიშნულ კითხვარებს შეიმუშავებს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და ბრძანებით ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი.

5.4. პროგრამის განხორციელების მონიტორინგი და პერიოდული შეფასება უნდა განხორციელდეს აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით, ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და შედეგების ანალიზის მეშვეობით.

5.5. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელ სტრუქტურულ ერთეულს წარმოადგენს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც შეფასების პროცესს წარმართავს უნივერსიტეტის აკადემიური და სტრატეგიული განვითარების მიმართულებით რექტორის მოადგილესთან და მედიცინის სკოლასთან კოორდინაციით.

მუხლი 6. საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების შეტანისა და გაუქმების პროცედურა

6.1. საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების შეტანა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის, პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტების, შესაბამისი დარგობრივი მახასიათებლისა და პროგრამის საჭიროებებიდან გამომდინარე, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკისა და წინამდებარე წესის მოთხოვნათა დაცვით. ცვლილებების საჭიროების შესახებ დასაბუთებულ ინიციატივას პროგრამის ხელმძღვანელი ან/და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, წარუდგენს პროგრამის განმახორციელებელ ძირითად საგანმანათლებლო ერთეულს (სკოლის საბჭოს), რომლის თანხმობის შემთხვევაში პროგრამის ხელმძღვანელის შუამდგომლობის საფუძველზე უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით მტკიცდება სამუშაო ჯგუფის (იგივე ან რექტორის ბრძანებით განახლებული შემადგენლობის) მიერ განსახორციელებელი აქტივობების/სამუშაო გეგმა. *(ცვლილება აკადემიური საბჭოს დადგენილებით №01-07/02, 25.05.2023წ.)*

6.2. საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების შეტანის თაობაზე სამუშაო გეგმის შესაბამისად მომზადებული პროგრამის ცვლილებების პროექტი, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დადებით დასკვნასთან ერთად პროგრამის ხელმძღვანელის მიერ წარედგინება განსახილველად სკოლის საბჭოს, ხოლო სკოლის საბჭოს დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში პროგრამის ცვლილებებს ამტკიცებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო. *(ცვლილება აკადემიური საბჭოს დადგენილებით №01-07/02, 25.05.2023წ.)*

6.3. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეწყვეტის (გაუქმების) შესახებ გადაწყვეტილებას იღებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო, პარტნიორთა საერთო კრების ინიციატივის, სკოლის საბჭოს ან/და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ან/და ადმინისტრაციული და საფინანსო მიმართულებით რექტორის მოადგილის წარდგინების საფუძველზე.

6.4. საგანმანათლებლო პროგრამა შეიძლება გაუქმდეს/მიღებული იქნეს მისი განხორციელების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

6.5. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების გაუქმების/პროგრამის განხორციელების შეწყვეტის გადაწყვეტილება უნდა ეფუძნებოდეს სასწავლო პროცესის მონიტორინგის შედეგებს ან/და შრომის ბაზრის მოთხოვნების კვლევას ან/და კურსდამთავრებულთა მაჩვენებლის შესწავლას ან/და მატერიალური რესურსის შეფასებას ან/და აკადემიური და სამეცნიერო რესურსის შეფასებას ან/და პროგრამის ფინანსური მდგრადობის ანალიზს.

მუხლი 7. დასკვნითი დებულებები *(დამატება აკადემიური საბჭოს დადგენილებით №01-07/02, 25.05.2023წ.)*

7.1. უნივერსიტეტის წესდების შესაბამისად, წესის პირველი რედაქცია მიღებულია და დამტკიცებულია უნივერსიტეტის პარტნიორთა საერთო კრების მიერ (30.08.2022 წ).

7.2. წესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ.

7.3. უნივერსიტეტის პირველი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია უნივერსიტეტის პარტნიორთა საერთო კრების ოქმის (01.08.2022 წ) და რექტორის ბრძანებით დამტკიცებული სამუშაო გეგმის (05.09.2022წ.) საფუძველზე, ხოლო ცვლილებები აღნიშნულ პროგრამაში ხორციელდება წინამდებარე წესის შესაბამისად.

დანართი №1

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა

№	სასწავლო კომპონენტები მოდული/სასწავლო კურსი	სასწავლო კურსის კოდი	წინაპირობის კოდი	კრედიტების რაოდენობა (ECTS)	საათების რაოდენობა	მათ შორის					კრედიტების განაწილება სემესტრების მიხედვით											
						ლექცია	სემ/ჯ.მ/ლაბ/პრ	შუალედური გამოცდა	დასკვნითი გამოცდა	დამოუკიდებელი სამუშაო	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23
I	ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კურსები																					
			სულ:	0	0					სულ:	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
II	ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი კურსები																					
			სულ:	0	0	სულ:					0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
III	თავისუფალი კომპონენტი																					
			ჯამი:	0	0					ჯამი:	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
Σ					0	Σ					0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0

საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა

პროგრამის მიზნები → სწავლის შედეგები ↓	მიზანი 1	მიზანი 2	მიზანი 3	მიზანი 4	მიზანი 5	მიზანი 6
შედეგი 1						
შედეგი 2						
შედეგი 3						
შედეგი 4						
შედეგი 5						
შედეგი 6						
შედეგი 7						

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის (კურიკულუმის) რუკა

№	სასწავლო კურსი	სწავლის შედეგი I	სწავლის შედეგი II	სწავლის შედეგი III	სწავლის შედეგი IV	სწავლის შედეგი V	სწავლის შედეგი VI	სწავლის შედეგი VII	სწავლის შედეგი VIII	სწავლის შედეგი IX	სწავლის შედეგი X	სწავლის შედეგი XI	სწავლის შედეგი XII	სწავლის შედეგი XIII	სწავლის შედეგი XIV
ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კურსები		I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	XIII	XIV
ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კურსები		I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	XIII	XIV

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების რუკა

№	პროგრამის სწავლის შედეგები	სასწავლო კურსი, რომლითაც ხდება შეფასება	შეფასების მეთოდი	სამიზნე ნიშნულები	მონაცემების შეგროვების დრო	პასუხის-მგებელი პირი
1						
2						
3						

სილაბუსის ფორმა

1	კურსის დასახელება								
2	კურსის კოდი								
3	კურსის სტატუსი								
4	უმაღლესი განათლების საფეხური/სწავლების დონე								
5	სწავლების ფორმა								
6	სწავლების ენა								
7	მისანიჭებელი კვალიფიკაცია								
8	სასწავლო წელი								
9	სემესტრი								
10	დეპარტამენტი								
11	კურსის ხელმძღვანელი (სახელი, გვარი, ელფოსტა)								
12	ლექტორები (სახელი, ელფოსტა)								
13	სტუდენტთა მხარდაჭერა და უნივერსიტეტის პოლიტიკა	ნორმატიული დოკუმენტები, რომლებიც არეგულირებს სწავლის პროცესს, ინფორმაცია სტუდენტის უფლებებისა და მოვალეობის შესახებ ხელმისაწვდომია ვებგვერდზე (www.avicenna.ge), იურიდიულ სახელმძღვანელოში							
14	უნივერსიტეტის მისამართი/ელფოსტა/ელ. მისამართი	4, ტბეთის ქუჩა, ბათუმი, აჭარა, საქართველო, 6010 info@avicenna.ge www.avicenna.ge							
15	დაშვების წინაპირობები								
16	ECTS		0	სულ საათი:				0	
17	საათების ჯამური რაოდენობა	ლექციები:	0	სემ/პრაქ/ლაბ:	0	გამოცდა:	3	დამოუკ. სამუშაო	0
აქტივობის ფორმა				საათების რაოდენობა					

საკონტაქტო საათები	ლექციები	**0**
	სემინარები/ჯგუფური მუშაობა	**0**
	ლაბ/პრაქტიკული	**0**
	შუალედური გამოცდა	**1**
	დასკვნითი გამოცდა	**2**
	Σ	**3**
სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობა	მზადება სემინარისთვის/ჯმ/ლაბ/პრაქტიკული	
	მზადება შუალედური გამოცდისთვის	
	მზადება დასკვნითი გამოცდისთვის	
	Σ	**0**

ქვეკურსები		**ECTS**	**სულ საათი**	**ლექცია (საათი)**	**სემ/ჯმ/პრაქტ/ლაბ(საათები)**		
					აუდიტორია	**კლ. უნ. ცენტრი/ლაბ**	**საუნივერსიტეტო კლინიკა**
1	**კურსი 1**		**0**	**0**			
2	**კურსი 2**		**0**	**0**			
3	**კურსი 3**		**0**	**0**			
Σ		**0**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**

18	**კურსის მიზნები (კმ)**
No	აღწერა
კმ1	
კმ2	
კმ3	

19	**სწავლის შედეგები (სშ)**
სწავლის შედეგების აღწერა და კურსის მიზნების მითითება, სშ კურსის შინაარსისთვის და სშ სტანდარტებში	

სშ №	**კურსის დასრულების შემდეგ სტუდენტი დაეუფლება შემდეგ პროფესიულ კომპეტენციებს**	**კურსის მიზნების მითითება**	**კურსის შინაარსის მითითება**	**კურსის დასრულების სავალდებულო მოთხოვნები (%)**
19.1	**დარგის სპეციფიკური ცოდნა**			
19.2	**დარგის სპეციფიკური უნარები**			

19.3	ავტონომია / პასუხისმგებლობა			
პროფესიონალიზმი				

20	კურსის შინაარსი	დანართი 1
21	სწავლების/სწავლის მეთოდები	
T1		
T2		
T3		
22	შეფასება	

№	შეფასების მეთოდები	შეფასების კრიტერიუმები
E1		
E2		
E3		

№	სუბკურსები:	შეფასების ფორმა	შეფასების მეთოდები	თანაფარდობა (%)	მაქს. შეფასება	მინ. ბარიერი
1	კურსი 1	მიმდინარე შეფასება			0	
		შუალედური			0	
		დასკვნითი გამოცდა			0	
2	კურსი 2	მიმდინარე შეფასება			0	
		შუალედური			0	
		დასკვნითი გამოცდა			0	
3	კურსი 3	მიმდინარე შეფასება			0	
		შუალედური			0	
		დასკვნითი გამოცდა			0	

თითოეული ქვემოდულის შეფასებას აქვს ნაწილობრივი თანაფარდობა. შუალედური შეფასება შეადგენს მიმდინარე შეფასებისა და შუალედური გამოცდის ქულების ჯამს, რომლებსაც აქვთ საერთო ბარიერი. მოდულის შუალედური გამოცდა, ისევე როგორც საბოლოო გამოცდა მოიცავს ყველა ქვემოდულიდან გონივრულად განაწილებულ თემებს.

კურსის შეფასების შეჯამება:

ჯამური შეფასება:	100	მინ. ბარიერი მიმდინარე შეფასებისთვის:		მინიმალური ბარიერი დასკვნითი გამოცდისთვის:	
მიმდინარე შეფასება:	40	შუალედური გამოცდა:	20	დასკვნითი გამოცდა:	40

შეფასების სისტემა:

დადებითი შეფასება			უარყოფითი შეფასება		
ქულა	*შეფასება*		*ქულა*	*შეფასება*	
91-100	A	შესანიშნავი	41-50	FX	ვერ ჩააბარა - სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი სამუშაოსთვის დამატებით დრო და გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.
81-90	B	ძალიან კარგი			
71-80	C	კარგი			
61-70	D	დამაკმაყოფილებელი	40 და ნაკლები	F	ჩაიჭრა - სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.
51-60	E	საკმარისი			

კლინიკური უნარების ქულების გამოთვლა დასკვნითი გამოცდის შეფასების სისტემის მიხედვით

ქულა	*კლინიკური უნარების დასკვნითი გამოცდის ნაწილი*			*ქულა*	*კლინიკური უნარების დასკვნითი გამოცდის ნაწილი*		
			A				FX
			B				
			C				
			D				F
			E				

23	**ლიტერატურა**
23.1	ძირითადი ლიტერატურა
1	
2	
23.2	დამხმარე ლიტერატურა
1	
2	
24	**კურსთან დაკავშირებული სხვა სასარგებლო ინფორმაცია**

24.1	სტუდენტთა მაქსიმალური რაოდენობა ჯგუფებში	სემინარებისთვის/ჯგუფური მუშაობა	20
		პრაქტიკული/ლაბ მეცადინეობა	10

24.2	ლექციის ჩატარების	საუნივერსიტეტო კამპუსის ოთახი №	
		საუნივერსიტეტო კლინიკა, ოთახი №	
		სხვა:	

	ადგილი		
24.3	ინსტრუმენტები, რომელიც მოეთხოვება სტუდენტს		

დანართი 1

კურსის შინაარსი

ლექცია		**საათების რაოდენობა**
კურსი 1		
1		
2		
3		
სულ საათი:		**0**
კურსი 2		
1		
2		
3		
სულ საათი:		**0**
კურსი 3		
1		
2		
3		
სულ საათი:		**0**
Σ		**0**

სემინარი/ჯგუფური მუშაობა		**საათების რაოდენობა**
კურსი 1		
1		
2		
3		
სულ საათი:		**0**
კურსი 2		
1		
2		
3		

სულ საათი:		**0**
კურსი 3		
1		
2		
3		
სულ საათი:		**0**
Σ		**0**
ლაბ/პრაქტიკული		**საათების რაოდენობა**
კურსი 1		
1		
2		
3		
სულ საათი:		**0**
კურსი 2		
1		
2		
3		
სულ საათი:		**0**
კურსი 3		
1		
2		
3		
სულ საათი:		**0**
Σ		**0**